



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი
07.03.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი
28.05.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	18
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	26
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	30
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა კლიმ-კლიმაჟევსკა, სიდლცეს უნივერსიტეტი, პოლონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან აფთარაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეონა ლოდია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიკა კვინჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Early Childhood, Development and Education
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობითი აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

აკრედიტაციისთვის წარდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება“ 2023 წელს შემუშავდა, და მისი მიზანია სკოლამდელი განათლებისთვის პროფესიონალური კადრების მომზადება. საგანმანათლებლო სივრცეში ამ პროგრამის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შრომის ბაზრის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში ინოვაციური აზროვნების მქონე პედაგოგების მნიშვნელოვანი დეფიციტია.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავებისას პროგრამის ლიდერები ხელმძღვანელობდნენ სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით, ეროვნული საკანონმდებლო და საგანმანათლებლო დოკუმენტებით (ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები, აღმზრდელებისა და პედაგოგების პროფესიული სტანდარტები) და სხვა კვლევითი დოკუმენტებით.

პროგრამის მიზანია მოამზადოს სკოლამდელი განათლების კონკურენტუნარიანი, მოაზროვნე და კრეატიული სპეციალისტი,

- „რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას და კეთილდღეობას ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებით.
- რომელიც ფლობს ადრეული განათლების სისტემურ შეხედულებას, რაც მათ საშუალებას აძლევს გაიგონ სხვადასხვა სისტემის სპეციფიკა, მრავალფეროვნება და ურთიერთგავლენა.
- რომელიც ფლობს საკუთარ თავში და სხვებში ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, თვითგამოხატვისა და ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიებს, რაც ადრეულ განათლებაში პროფესიონალური საქმიანობის ძირითადი მახასიათებლებია.
- რომელსაც შეუძლია პროფესიულ პრაქტიკაში არსებული გამოწვევების მოგვარება და წარმატებული პრაქტიკისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების გაკეთება და/ან განხორციელება“.

პროგრამის შემუშავებისა და მისი მიზნების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა საერთაშორისო პრაქტიკა. კერძოდ, სიდნეის უნივერსიტეტის, პლიმუთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ახალი ინგლისის უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამები.

პროგრამა ახალია, ამიტომ ადრეული ბავშვობის, განვითარებისა და განათლების პროგრამაში სულ 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალია ჩართული; აქედან 3 არის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი და 12 მოწვეული პერსონალი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 7 მარტს მოეწყო. აკრედიტაციის კომისიას ქართველ ექსპერტებთან ერთად უცხოელი ექსპერტი ანა კლიმ-კლიმაშევსკა უძღვებოდა. პანელი ეტაპობრივად შეხვდა და გაესაუბრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ჯგუფის/პოზიციის წარმომადგენლებს. კერძოდ: თვითშეფასების ჯგუფის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ილიაუნის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, უკვე არსებული პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. ვიზიტის დროს მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ დროულად წარმოადგინა.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფი შემოთავაზებულ საბაკალავრო პროგრამას შემდეგნაირად აფასებს: სტანდარტები 1 და 5 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტანდარტები 2,3,4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა 9 რეკომენდაცია და 2 რჩევა, რომლებიც წარმოადგენილი პროგრამის სხვადასხვა ასპექტს უკავშირდება.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1:

1.5

- პროგრამაში წარმოდგენილი პირველი შედეგის მისაღწევად, რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს შინაარსის უკეთ გაგებას და ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, ვინც შესაძლოა არ ფლობდეს ინგლისურს.
- გარდა ამისა, უნდა დაზუსტდეს სილაბუსში წარმოდგენილი თითოეული თემისთვის საკითხავი მასალის ოდენობა.

სტანდარტი 2:

2.1.

- გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებული იყოს დეტალური ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების კრიტერიუმების ან საფუძვლების შესახებ.

2.2.

- რეკომენდებულია დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას.

2.4.

- აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო კრიტერიუმები და მათზე დაყრდნობით შემუშავდეს გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების რუბრიკები/ სქემები ყველა საგანმანათლებლო კურსისთვის, რაც გაზრდის შეფასების სანდოობას და სწავლის შედეგების გაზომვადობას.
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“ (მუხლი 4, ნაწილი 7).

სტანდარტი 3:

3.1.

- სასწავლო გარემოში ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით უნდა განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებები, მათ შორის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ეს შეიძლება მოიცავდეს ფაკულტეტისა და პერსონალისთვის სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებს და დამხმარე მექანიზმების შემუშავებას მარგინალიზებული ფენის სტუდენტებისთვის;

სტანდარტი 4:

4.1.

- უნდა გამოიკვეთოს ბალანსი აკადემიურ, მათ შორის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგობრივი მიმართულებით, რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს.

4.4.

- დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკაში არის სილაბუსებში მითითებულ ყველა ძირითადი ლიტერატურა (მათ შორის ელექტრონული რესურსები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სტანდარტი: 3

3.1.

- სასურველია გაძლიერდეს კომუნიკაცია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის ღია დიალოგს, უკუკავშირის გაცვლას და პრობლემების დროულად გადაჭრას. მოუწოდეთ სტუდენტებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და წარმოადგინონ უკუკავშირი გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებისა და პროგრამის კოორდინატორებთან რეგულარული შეხვედრების საშუალებით.

სტანდარტი 4:

4.5.

- სასურველია, წარმოდგენილ ბიუჯეტში დეტალურად იყოს აღწერილი პროფესიული განვითარების, სამეცნიერო კვლევისა და სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო თანხები, რათა თვალსაჩინო იყოს ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ზუსტი ხარჯები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი არის უნივერსიტეტში მოქმედი ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი, რომლის მატერიალურ რესურსებსაც გავეცანით. ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი ამყობს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, რაც სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს როგორც პრაქტიკის, ასევე კვლევის თვალსაზრისით.

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

1.5.

სამუშაო ჯგუფი იზიარებს რეკომენდაციას ქართულენოვანი სასწავლო მასალის მომზადების შესახებ და აღნიშნავს, რომ გააგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით. კერძოდ, სამუშაო ჯგუფი ხაზს უსვამს კონკრეტულ კურსს „ბავშვთა ჯანმრთელობა და დაავადებათა პრევენცია“, რომლისთვისაც ქართულენოვანი სასწავლო მასალა გამოწვევად რჩება. სამუშაო ჯგუფი თავის არგუმენტირებულ პასუხში ასევე მიუთითებს მე-7 სემესტრში კონკრეტულ კურსებს, რომლებისთვისაც მიმდინარეობს ქართულ ენაზე საკითხავი მასალის მომზადება.

პროგრამის სამუშაო ჯგუფი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას სილაბუსში თითოეული თემისთვის საკითხავი მასალის ოდენობის დაზუსტების თაობაზე.

ამგვარად, ორივე რეკომენდაცია ძალაში რჩება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა და სილაბუსებში

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

დარეგულირდა შეფასების სისტემა. ჩასწორებული სილაბუსები წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულებად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ 2.1, 2.2, 4.1 და 4.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით გაკეთებული რეკომენდაციები რელევანტურია.

რაც შეეხება არგუმენტირებულ პოზიციას 3.1 სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფმა მაგალითად მოიყვანა განხორციელებული პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ წინა წლებში ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ზომები არ არის საკმარისი. ამგვარად, მივესალმებით უნივერსიტეტის სურვილს, სტუდენტებისათვის ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემოს უზრუნველსაყოფად გადაჭრას რეკომენდაციაში აღნიშნული გამოწვევა დამატებითი აქტივობების დაგეგმვით. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ძალაში რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" 2023 წელს დაარსდა. პროგრამის აღწერაში წარმოდგენილია მკაფიო მიზნები, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნულ საკანონმდებლო და საგანმანათლებლო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს სკოლამდელი განათლების მიმართულებით. ეს დოკუმენტებია: ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები, სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი და კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო. პროგრამის ძლიერი მხარე მდგომარეობს მის სასწავლო გეგმაში, რომელიც ეფუძნება ადრეული განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პრაქტიკულ გამოცდილებას და დამაჯერებელ არგუმენტს წარმოადგენს დასახული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გამოიყენეს სიდნეის უნივერსიტეტში, პლიმუთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ახალი ინგლისის უნივერსიტეტში მსგავსი პროგრამების საერთაშორისო პრაქტიკა. გარდა ამისა, პროგრამის ავტორებმა განიხილეს სკოლამდელ და ადრეულ განათლებასთან დაკავშირებული კვლევების შედეგები, როგორცაა საქართველოს სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა (UNICEF) და საქართველოს ადრეული განათლების დიაგნოსტიკური კვლევა (PPMI), რაც მიზნად ისახავდა ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთა კომპეტენცია შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტს, ისე ქართულ კონტექსტს. პროგრამის კურსდამთავრებულებმა უნდა:

- ხელი შეუწყონ ბავშვების ყოველმხრივ განვითარებას და კეთილდღეობას ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით. გამოავლინონ ადრეული განათლების ყოვლისმომცველი გაგება.
- გამოიჩინონ ავტონომიურობა, ცნობისმოყვარეობა, თვითგამოხატვა და შემწყნარებლობა როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ.
- გაუმკლავდნენ პროფესიულ გამოწვევებს პრაქტიკაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღებითა და განხორციელებით.

ასეთი სპეციალისტები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს გაღრმავებაში და არსებული გამოწვევების დაძლევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" აღწერა;
- პრაქტიკის კომპონენტის აღწერა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
- სკოლამდელი აღზრდის დარგობრივი მახასიათებლები;
- ვებ-გვერდზე ატვირთული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, მიზნები, მისია.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება მის მიზნებს და შესაბამისობაშია სკოლამდელი განათლების ეროვნულ საკანონმდებლო და საგანმანათლებლო დოკუმენტის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკაც ამ შესაბამისობაზე მიუთითებს. პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც ადრეული ბავშვობის განათლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს. ეს შედეგები ასახავს დარგის საჭიროებებს, თანამედროვე მოთხოვნებს, და ძლიერ აქცენტს აკეთებს გამოყენებით და პრაქტიკულ უნარებზე. პროგრამის სწავლის შედეგებსა და სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შედეგებს შორის შესაბამისობის დასადგენად, გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგებისა და სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა.

პროგრამის მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია შვიდი ძირითადი შედეგი, რომელთა მიღწევა რეალურია, ვინაიდან სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების დიდი ნაწილი ჩაშენებულ პრაქტიკას მოიცავს. ეს პრაქტიკა აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, დააგროვონ სამუშაო გამოცდილება და ჩაატარონ კვლევა ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თითოეულ კურსში მოცემულია კონკრეტული პრაქტიკული კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სამუშაო გამოცდილებითა და კვლევის შესაძლებლობებით ადრეული და სკოლამდელი განათლების პირობებში. მაგალითად, თუ ერთი კურსის შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტი ფოკუსირებულია თამაშსა და ბავშვთან ურთიერთობაზე, მეორე პრაქტიკული კურსის აქცენტი ბავშვის განვითარება და დაკვირვებაა. ამგვარად აგებული სასწავლო გეგმა პროგრამაში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის საუკეთესო არგუმენტია.

თუმცა, პროგრამის პირველი შედეგის აღწერა შემდეგნაირია: „ითვალისწინებს ბავშვის კეთილდღეობას და ჰოლისტურ განვითარებას (დაბადებიდან 8 წლამდე) ადგილობრივი და

საერთაშორისო კონტექსტების, ადრეული განვითარების თეორიებისა და მოდელების კონტექსტში (მათ შორის მრავალენოვანი განათლება და მეორე ენის ათვისება).“ ეს შედეგი შეესაბამება დარგის კომპეტენციის დოკუმენტში ასახულ სასწავლო შედეგებს. განვითარების თეორიების გააზრება ეფექტური სწავლების საფუძველია. და თუმცა სხვადასხვა სასწავლო კურსში ამ თემას გარკვეული ყურადღება ეთმობა, შესაბამისი ლიტერატურა ძირითადად ინგლისურ ენაზეა, თან ხშირად დაუზუსტებელი მოცულობით. ამ გარემოების გამო ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, შეძლებს თუ არა პროგრამა სრულად მიაღწიოს ზემოაღნიშნულ შედეგებს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ინგლისური ენის ცოდნა არ არის განსაზღვრული, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. გთხოვთ, გაეცნოთ შესაბამის რეკომენდაციას სასწავლო კურსის/საგნის ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" აღწერა;
- პრაქტიკის კომპონენტის აღწერა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის მახასიათებლები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პოლიტიკის მმართველი შეფასება;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
- სკოლამდელი აღზრდის დარგობრივი მახასიათებლები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

• -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐
--------------------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მიმართავს სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის:

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სწავლებისა და სწავლის პროცესების ეფექტურობის შეფასება სტუდენტთა გამოკითხვებზე დაყრდნობით;
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ეფექტურობის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მახასიათებლების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის დამსაქმებლებისგან პროგრამის შესახებ მიღებული უკუკავშირის ანალიზი.

ეს მექანიზმები ამომწურავია მიღწევადი შედეგების შესაფასებლად. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კურსები მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს, რომლებიც ასახავს მის მიერ მისაღწევ კომპეტენციებს. ამ კომპეტენციების შეფასებისას აუცილებელია ობიექტურობისა და სანდოობის შენარჩუნება. თუმცა, სილაბუსებში ასახული შეფასების სქემები ნათლად არ ასახავს ქულების განაწილებასა და მინიჭებას, რაც შეფასებების ობიექტურობასა და სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. დამატებითი განმარტებისთვის გთხოვთ, გაეცნოთ რეკომენდაციას სტუდენტის შეფასების განყოფილებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;

- პროგრამის მახასიათებლები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო <https://iliauni.edu.ge/uploads/other/79/79304.pdf>
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო პროგრამა შედგება სამი კომპონენტისგან: ზოგადი მოდული, მთავარი მოდული და თავისუფალი კომპონენტი, ჯამში 240 კრედიტი (48 კრედიტი ზოგადი მოდულისთვის, 132 კრედიტი ძირითადი მოდულისთვის და 60 კრედიტი თავისუფალი კომპონენტისთვის). პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. თითოეულ კურსს გააჩნია კურსის სილაბუსებში ასახულ საგანთან დაკავშირებული ლოგიკური წინაპირობა.

პროგრამის ძირითადი მოდული გთავაზობთ სხვადასხვა პრაქტიკულ კურსს, რომლის საშუალებით სტუდენტები გაიღრმავებენ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრულ კომპეტენციებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარში ასახულია დარგის უახლესი მიღწევები. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების საერთო რაოდენობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის კანონით დადგენილ კრედიტის განაწილების ოდენობას. პროგრამის არჩევითი კომპონენტი გთავაზობთ სასწავლო კურსებს, რომლებსაც სტუდენტი ირჩევს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს საკმარისი ცოდნა მისი არჩევანის მიხედვით. პროგრამის შინაარსი ასახავს დარგის უახლეს მიღწევებს და ასევე ეხმარება სტუდენტს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგებსა და დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის კომპონენტის აღწერა;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
- სკოლამდელი აღზრდის დარგობრივი მახასიათებლები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
 - ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
 - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და შესაბამის საფეხურებს უმაღლეს განათლებაში. არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისობას საგანმანათლებლო სახეფურთან და აღწერს პროგრამის რომელი შედეგი მიიღწევა რომელი კურსებით.

თუმცა, არსებობს გარკვეული ეჭვი პროგრამის კონკრეტული შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით პირველ შედეგთან დაკავშირებით, სადაც ვკითხულობთ: „ითვალისწინებს ბავშვის კეთილდღეობასა და ჰოლისტურ განვითარებას (დაბადებიდან 8 წლამდე) ადგილობრივი და საერთაშორისო გარემოს, ადრეული განათლების თეორიებისა და მოდელების (მათ შორის მრავალენოვანი განათლება და მეორე ენის ათვისება) კონტექსტში.“ ეს შედეგი შესაბამისობაშია დარგობრივი კომპეტენციის დოკუმენტში ჩაწერილ სწავლის შედეგებთან. განვითარების თეორიების ცოდნა ფუნდამენტურია პრაქტიკული სწავლებისთვის და სხვადასხვა სასწავლო კურსში ამ თემას გარკვეული დრო ეთმობა. თუმცა შესაბამისი ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა. ეს გარემოება იწვევს გარკვეულ ეჭვს იმის შესახებ, რამდენად მიიღწევა ზემოაღნიშნული შედეგები პროგრამის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ინგლისური ენის ცოდნა არ არის განსაზღვრული, როგორც პროგრამაზე მიღების წინაპირობა.

თითოეულ კურსში გამოყენებული ლიტერატურა ეფუძნება თანამედროვე რესურსებს და კვლევებს სკოლამდელი განათლების სფეროში და კურსის სილაბუსები მოიცავს შესაბამის თემებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამისი ლიტერატურის მოცულობა არ არის განსაზღვრული თემის მიხედვით, რაც ართულებს ლიტერატურის მოცულობის შესაბამისობის დადგენას გამოყოფილი კრედიტების რაოდენობასთან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისურ ენაზეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგებსა და დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა;

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პრაქტიკის კომპონენტის აღწერა;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
- სკოლამდელი აღზრდის დარგობრივი მახასიათებლები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამაში წარმოდგენილი პირველი შედეგის მისაღწევად, რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართულენოვანი სასწავლო მასალების შემუშავება. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს შინაარსის უკეთ გაგებას და ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, ვინც შესაძლოა არ ფლობდეს ინგლისურს.
- გარდა ამისა, უნდა დაზუსტდეს სილაბუსში წარმოდგენილი თითოეული თემისთვის საკითხავი მასალის ოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს,

საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაადგინა ადრეული ბავშვობის, განვითარებისა და განათლების პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. პროგრამაში მითითებული წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მაგრამ არ არის გამჭვირვალე. მაგალითად, პროგრამაში არ არის დაკონკრეტებული, საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა, მოითხოვს თუ არა სრულ ზოგად განათლებას ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს. გარდა ამისა, გაუგებარია, რომელი უცხო ენა უნდა ჩააბაროს აპლიკანტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ამასთან, პროგრამაში ჩარიცხვის პირობები უნდა მოიცავდეს დებულებებს შიდა და/ან გარე მობილობისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე მიღების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გასაუბრების დროს გაირკვა, რომ აპლიკანტს შეუძლია ნებისმიერი უცხო ენა ჩააბაროს. თუმცა, ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს მოთხოვნა შეიძლება შეიცვალოს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კურსზე სავალდებულო საკითხავ მასალად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის მითითებული (მაგალითად: გარეთ სწავლა ადრეულ განათლებაში, ვიზუალური ხელოვნება ადრეულ განათლებაში, მუსიკა ადრეულ განათლებაში. .)

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის სპეციფიკური მექანიზმი და მეთოდოლოგია. დაგეგმვისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის სწავლის დონე, სტუდენტების თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სასწავლო სფერო, პრაქტიკისთვის ადგილების ხელმისაწვდომობა და სხვა შესაბამისი ფაქტორები. 2024 წლის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ აბიტურიენტთა ცნობარში აღნიშნულ პროგრამაზე მიღება ცხადდება წინაპირობების მიხედვით და უნივერსიტეტი გეგმავს 20 სტუდენტის მიღებას.

პროგრამის პოპულარიზაციისა და აბიტურიენტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი აწყოფს საინფორმაციო შეხვედრებს. გასაუბრების შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტი გეგმავს შექმნას პროგრამის შესახებ სარეკლამო ვიდეოები და გააზიაროს ისინი უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სოციალური მედიის პლატფორმებზე, ასევე უმასპინძლოს ღია კარის დღეს და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge/ge/>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2024 (NAEC)

რეკომენდაციები:

- გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებული იყოს დეტალური ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების კრიტერიუმების ან საფუძვლების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გასავითარებლად, ადრეული ბავშვობის, განვითარებისა და განათლების საბაკალავრო პროგრამა პრაქტიკული კომპონენტის სახით უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პრაქტიკას. პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ორ ფორმატში:

1. კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკა, რომლისთვისაც გამოყოფილია მინიმუმ ცხრა კრედიტი; 2. დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსები, რისთვისაც გამოიყოფა 42 კრედიტი. პრაქტიკული კურსების გავლისას სტუდენტი აჯამებს, აანალიზებს, ახდენს თვითშეფასებას და ასახავს პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე შეძენილ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს.

პრაქტიკის კომპონენტში, როგორც უნივერსიტეტის პერსონალი, ასევე ორგანიზაციის წარმომადგენელი (მენტორი) აფასებენ სტუდენტს წინასწარ შეთანხმებული შეფასების მეთოდებით. პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა "პრაქტიკის კომპონენტის აღწერა", რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეიქმნა. ამ დოკუმენტში დაწესებულებამ ნათლად და ამომწურავად აღწერა პრაქტიკის დაგეგმვისა და ორგანიზება/ განხორციელების ყველა ეტაპი.

გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სტაჟირების პერიოდში უნივერსიტეტის სტუდენტებს ხელმძღვანელობენ დარგის კვალიფიციური პირები.

„სამოქმედო კვლევა ადრეულ განათლებაში" ასევე არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი. კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ადრეული განათლების კვლევის ძირითადი კომპონენტები და კვლევებზე დაფუძნებული პრაქტიკის გაუმჯობესების გზები ბავშვის განვითარებისა და განათლების მხარდასაჭერად. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ საბაკალავრო ნაშრომი და საბაკალავრო კვლევითი პროექტის სემინარის კომპონენტები არჩევითი ბლოკიდან, რომლის ფარგლებშიც შეისწავლიან კვლევითი ნაშრომის/ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებას.

საგანმანათლებლო კვლევისა და კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად, საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები მოითხოვს სტუდენტისგან კვლევითი ან/ და პრაქტიკული პროექტის დასრულებას, რეფლექსიას, დაკვირვებას, შეფასების ჩანაწერებს და ა.შ. ამ მიზნით სტუდენტი მოძებნის საჭირო ინფორმაციას, გაანალიზებს დარგში არსებულ პრობლემებს, შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, დაასაბუთებს თავის პოზიციას, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებს როგორც პრაქტიკის მიზანს, ასევე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. თუმცა მათში სტუდენტთა რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა თბილისის 6 საბავშვო ბაღთან გაფორმებული მემორანდუმი წარადგინა. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ

თითოეული საბავშვო ბავშვი პრაქტიკისთვის საშუალოდ 10- 15 სტუდენტის მიღებას შეძლებს, რაც საკმარისია უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი კონტინგენტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების კონცეფციები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა- სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე, არამედ უნარების განვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილი სწავლა- სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა- სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სწავლების არსებული მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სხვადასხვა კურსის ფარგლებში, მათი მიზნების, შინაარსისა და ფორმატის გათვალისწინებით, გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია/ სემინარი; პრაქტიკული სწავლების მეთოდი; ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები; დისკუსია/ დებატები; საქმის შესწავლა; პრაქტიკაში დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია; პრეზენტაცია; როლური თამაშები და სიმულაციები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს მათ ერთგულებას სწავლების მეთოდებისადმი, რომლებიც მიმართულია სტუდენტების კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, აკადემიური მომზადებისა და სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართულობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი - ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი, ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge/ge/>;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი - <https://cdi.iliauni.edu.ge/>
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით. უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის სილაბუსები არ შეესაბამება „უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის No105/ ნ ბრძანებით დამტკიცებულ ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით (მუხლი 4, მე-7 ნაწილი).

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, მეთოდებს, რომელთა მიხედვით დგინდება, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

თითოეული კურსის შეფასების სისტემა მოიცავს შეფასებებს მინიმუმ სამი კომპონენტით (შუალედური შეფასება და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასებით ფასდება განსაზღვრული სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ ლექცია-სემინარებზე გამოვლენილი ცოდნა. დასკვნითი შეფასება გულისხმობს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ეს ზღვარი არ აღემატება საბოლოო შეფასების 60%-ს. საბოლოო შეფასების კონკრეტული წილი არ აღემატება 30 ქულას. საბოლოო შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია.

უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საგნები დაკავშირებულია შეფასების სხვადასხვა მეთოდთან. შეფასების მეთოდები მოიცავს ესეს, პრეზენტაციას, დისკუსიას, პრაქტიკულ

დავალებას, დისკუსიაში მონაწილეობას და ა.შ. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს საბოლოო შეფასების კონკრეტული წილი (100 ქულა), რაც კონკრეტულ სილაბუსში აისახება.

სტუდენტები ფასდებიან თითოეული კურსის ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკების) მიხედვით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობს ადეკვატური და გამჭვირვალე კრიტერიუმები (რუბრიკები). მაგალითად, სტუდენტმა შეიძლება მიიღოს 24 ქულა 30- დან, თუ საკითხი სრულყოფილად არის წარმოდგენილი ნაშრომში და არის მხოლოდ მცირე სტილისტური შეცდომები ("სასწავლო გეგმები ადრეულ განათლებაში", "თანამედროვე გამოწვევები ადრეულ განათლებაში"), 18- 20 ქულა - სტუდენტი ყოველთვის კითხულობდა მასალას და სწორად წერდა დავალებებს, 12- 17 ქულა - სტუდენტი ძირითადად კითხულობდა მასალას და წერდა დავალებებს ("ორენოვანი განათლება საბავშვო ბაღში"); 13- 15 ქულა - ნაშრომში ზუსტად და ამომწურავად არის წარმოდგენილი საკითხი; 9- 12 ქულა - ნაშრომში ამომწურავად არის წარმოდგენილი საკითხი. შეინიშნება მცირე სტილისტური შეცდომები ("მრავალფეროვნება ადრეულ განათლებაში", შუალედური შეფასების რუბრიკა, მაქსიმალური ქულა: 15) და ა.შ.

დაწესებულება იყენებს Turnitin პროგრამას პლაგიატის გამოსავლენად; გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს გონივრული ეჭვის შემთხვევაში მიმართოს ფაკულტეტს საჩივრით. ეს იწვევს გასაჩივრების კომისიის შექმნას და შესაბამის პროცედურებს. შეფასების შედეგები აისახება არჩევის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და კურსების სილაბუსები
- ელექტრონული სისტემა Argus
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო კრიტერიუმები და მათზე დაყრდნობით შემუშავდეს გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების რუბრიკები/ სქემები ყველა საგანმანათლებლო კურსისთვის, რაც გაზრდის შეფასების სანდოობას და სწავლის შედეგების გაზომვადობას.
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“ (მუხლი 4, ნაწილი 7).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" სტუდენტებს სთავაზობს მძლავრ მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს მათ სწავლის პერიოდში ადეკვატური ხელმძღვანელობით, რესურსებით და დახმარებით. მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმის ჩართვა, აკადემიური, კარიერული და ფსიქოლოგიური საკონსულტაციო სერვისების ჩათვლით, მხარს უჭერს სტუდენტებს მათი აკადემიური და პიროვნული განვითარების სხვადასხვა ასპექტში.

ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სესიები და პერსონალიზებული კონსულტაციები, რათა სტუდენტები გაეცნონ სასწავლო გარემოს და ეფექტურად დაგეგმონ საგანმანათლებლო გზა. როგორც ჩანს, უნივერსიტეტი სტუდენტებს სხვადასხვა გზით აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს სასწავლო პროცესის, აკადემიური მოსწრებისა და კარიერული განვითარების შესახებ. კონსულტაციისთვის ხელმისაწვდომია ფაკულტეტის წევრები და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტებთან თანამშრომლობს პროგრამის კოორდინატორი. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ეხმარება სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაში.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტი იყენებს პროგრამულ სისტემას სახელწოდებით „არგუსი“. ამ სისტემის საშუალებით სტუდენტები იღებენ სასწავლო მასალებს, ირჩევენ სასწავლო კურსებს და უკავშირდებიან აკადემიურ პერსონალს. ტექნოლოგიის ინტეგრაცია, როგორც ჩანს, ყოვლისმომცველია და სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს მარტივ წვდომას აუცილებელ რესურსებსა და საკომუნიკაციო არხებზე. Argus- ის სისტემის გამოყენება აძლიერებს სტუდენტების ავტონომიურობას კურსების შერჩევისა და შეფასებაზე დაკვირვებისას, რაც მათ საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ პროგრესს და მოიძიონ დახმარება საჭიროებისამებრ.

უნივერსიტეტი გთავაზობთ სხვადასხვა აკადემიურ მხარდაჭერას, როგორცაა აკადემიური წერის ცენტრი, ბიბლიოთეკის ტრენინგ სესიები და რესურსები წერის უნარების გასაუმჯობესებლად. დამატებითი რესურსებისა და აკადემიური წერის მხარდაჭერისთვის გამოიყენება ისეთი პლატფორმები, როგორცაა Moodle და Turnitin. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდებით მომზადებული კვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. ასეთი დამატებითი სერვისები ღირებულ რესურსებს წარმოადგენს სტუდენტების აკადემიური და გონებრივი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობაში სხვადასხვა ინიციატივით, მათ შორის "კარიერული თვის" ღონისძიებები, დასაქმების ფორუმები და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას სეზონური სკოლების, ბანაკებისა და სტუდენტური კლუბების მეშვეობით, ამდიდრებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას საკლასო ოთახის მიღმა. სტუდენტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და საჭირო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად რეგულარულად ტარდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები.

საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი ხელს უწყობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და ამ პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს სთავაზობს დამხმარე მომსახურებას. ეს მოიცავს ინფორმაციის გავრცელებას, ინდივიდუალურ კონსულტაციებს და დახმარებას სასწავლო

ხელშეკრულებებთან და სავიზო განაცხადებთან დაკავშირებით. პროგრამის პროაქტიული მიდგომა სტუდენტთა ჩართულობის, კარიერული განვითარებისა და საერთაშორისო შესაძლებლობების მიმართ ხელს უწყობს ჰოლისტური სწავლის გამოცდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ავლენს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას, მუდმივი მონიტორინგი და უკუკავშირის მექანიზმები აუცილებელია უწყვეტი განვითარებისა და სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის დამხმარე სერვისების უზრუნველსაყოფად. ასევე, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ეს დამხმარე სერვისები ხელმისაწვდომი იყოს ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის სხვადასხვა წარმომავლობის ან კონკრეტული საჭიროებების მქონე სტუდენტისთვის. სტუდენტებთან გასაუბრების დროს დაფიქსირდა ლექტორების მიერ ეთნიკური ან სხვა სახის დისკრიმინაციის შემთხვევები. გარდა ამისა, სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს კომუნიკაციის გამოწვევებს როგორც ლექტორებთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. აღინიშნა, რომ ხშირად არ არის გამჭვირვალე კომუნიკაცია არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც სტუდენტები თავს იკავებენ კონკრეტული შემთხვევების ადმინისტრაციისთვის მოხსენებისგან. ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლენილი ეს გამოწვევები და გასაუმჯობესებელი სფეროები ხაზს უსვამს უწყვეტი შეფასების და გაუმჯობესების მნიშვნელობას სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად და ინკლუზიური და დამხმარე სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

